


069.02

95

కళాకరుని సాహిత్యం

TREASURY OF AJARA





069.02: 93(479.223)
3 95

აჭარის საგანძური



TREASURY OF AJARA

TREASURY OF AJAJRA

కళాకరుని సాహిత్యం

శ్రీ సాహిత్య కళాకరుని సాహిత్యం
సాహిత్య కళాకరుని సాహిత్యం
No. 38815





აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის განათლების,
კულტურის და სპორტის
სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION,
CULTURE AND SPORT
OF AUTONOMOUS
REPUBLIC OF AJARA

პროექტის ავტორები
გიორგი თავამაიშვილი
ნინო ინაიშვილი
მაია ჭიჭილაიშვილი
მერაბ ხალვაში
გიორგი ჯანბერიძე

THE AUTHORS OF PROJECT
GIORGI TAVAMAISHVILI
NINO INAISHVILI
MAIA CHICHILEISHVILI
MERAB KHALVASHI
GEORGE JANBERIDZE

დიზაინი
გიორგი ჯანბერიძე
კომპიუტერული მაკეტი
გეგა პაქსაშვილი
ფოტო
შოთა გუჯაბიძე

DESIGN BY
GEORGE JANBERIDZE
COMPUTER LAYOUT
GEGA PAKSASHVILI
PHOTOS
SHOTA GUJABIDZE

© ყველა საავტორო უფლება დაცულია
ALL RIGHTS RESERVED
ბათუმი
BATUMI
ISBN-978-9941-0-7253-6

კულტურული მემკვიდრეობა
აჭარის მუზეუმებიდან



CULTURAL HERITAGE
FROM MUSEUMS OF AJARA

სარჩევი

9

შესავალი



9

INTRODUCTION

13

ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანა




13

STONE, BRONZE AND IRON AGES

29

ადრეანტიკური და ელინისტური ხანა



29

EARLY ANTIQUE AND HELLENISTIC AGES

101

გვიანანტიკური ხანა



101

LATE ANTIQUE AGE

131

შუა საუკუნეები




131

MIDDLE AGES

181

ახალი და უახლესი ეპოქა



181

MODERN AND CONTEMPORARY ERA

CONTENTS



შესავალი

ეროვნული ფასეულობების წარმოჩენასთან დაკავშირებული ყოველი ახალი წამოწყება მეტად ღირებული და საშური საქმეა. სწორედ ასეთი მნიშვნელოვანი იდეა უდევს საფუძვლად „აჭარის საგანძურის“ შექმნას, რომელშიც მეტ-ნაკლები სრულყოფილებით იქნება წარმოდგენილი საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მდიდარი წარსული. წიგნში თავმოყრილი მასალა ამ წარსულის ამსახველი ფასდაუდებელი საგანძურია, საუკუნეებით ჩვენამდე მოტანილი.

წინამდებარე წიგნში „აჭარის საგანძური“ ძირითადად წარმოდგენილია აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში, ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმსა და გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალში დაცული ქვის, ბრინჯაოს, რკინის ხანის, ანტიკური და შუა საუკუნეების ეპოქების არ-

Each new undertaking concerning the exposition of the national values is the most valuable and urgent endeavor. It is this very idea that provided the basis for creation of "Ajara Treasury" which will represent the rich past of this ancient part of Georgia with more or less completeness. The material compiled in this book is invaluable treasury reflecting the past brought to us through centuries.

INTRODUCTION



ტეფაქტები, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა აღმოჩენილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ქობულეთი, მახვილაური, ფიჭვნარი, ციხისძირი, ბათუმის ციხე, გონიო-აფსაროსი, აჭარისწყლის ხეობა). აჭარის ხელოვნების მუზეუმში თავმოყრილია ახალი და უახლესი პერიოდის ხელოვნების ნიმუშები.

ისტორიის უძველეს ნიმუშებს განეკუთვნება აჭარის მთიანეთში, კურორტ ბეშუმთან აღმოჩენილი ქვის იარაღები, რომლებიც ძვ. წ. 300-200 ათასი წლით თარიღდება. წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ დღევანდელი აჭარის ტერიტორია ექცევა იმ ისტორიულ არეალში, სადაც დაახლოებით 10 000 წლის წინ დაიწყო მიმთვისებლურიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა. მნიშვნელოვანი ნოვაციებით გამოირჩევა ენეოლით-ადრებრინჯაოს (ძვ. წ. V-III ათასწ.), განსაკუთრებით კი – გვიანბრინჯაოსა და რკინის ადრეული ხანა (ძვ. წ. XV-VII სს). საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჭოროხის აუზი ნახლობელ აღმოსავლეთში წარმოადგენდა სამთო მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს ცენტრს და კოლხური კულტურის ფორმირების უმნიშვნელოვანეს

The present book "Treasury of Ajara" mostly accumulates the artifacts of Stone, Bronze, Iron, Classical, Hellenistic, Roman and Byzantine ages, preserved in the Ajara Khariton Akhvlediani State Museum, the Batumi Archaeological Museum and the Gonio-Apsarus Archaeological-Architectural Museum-Reserve. These artifacts were discovered during the archaeological excavations that have been conducted in South-West Georgia (Kobuleti, Makhvilauri, Pichvnari, Tsikhisdziri, Batumi Fortress, Gonio-Apsaros, Ajaristskali Gorge) for more than half a century. The Art Museum of Ajara includes the works of modern and contemporary art.

The stone tools, discovered in the Ajara highland region, at the resort Beshumi, belong to the oldest artifacts of the history. They are dated back to 300-200 thousand years BC. The presented material shows that the territory of present-day Ajara is within that historical area, which 10 000 years ago started the process of transition from a lifestyle based on hunting and gathering to a lifestyle based on farming and domesticated animals. The Eneolithic – Early Bronze Age (5th-3rd millennia BC), especially, Late Bronze and Early Iron Age (15th-7th centuries BC), are dis-

კერას, იმ ლეგენდარული კოლხეთისა, რომელიც ასახულია ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მითში არგონავტების ლაშქრობის შესახებ.

ბერძნულ, ირანულ და ელინისტურ სამყაროსთან, რომელსე და ბიზანტიურ ცივილიზაციებთან მჭიდრო და ხანგრძლივი პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ამსახველია ფიჭვნარში, გონიოში, ციხისძირში, მახოსა თუ კაპანდობში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური არტეფაქტები: საიუველირო ხელოვნებისა და ტორეტიკის ნიმუშები, ტერაკოტული ფიგურები, ფერადი მინის ჭურჭელი და სამკაულები, ბერძნული მოხატული და შავლაკიანი ჭურჭელი, გლიპტიკური და ნუმისმატიკური ძეგლები. უცხოური გავლენები ერწყმოდა მძლავრ ადგილობრივ და ზოგადკავკასიურ კულტურულ ტრადიციებს, რომლის საუკეთესო გამოხატულებაა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ოქროს ფონდში წარმოდგენილი კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშები, რაც ერთგვარი დადასტურებაა ანტიკურ ავტორებთან დაცული ცნობებისა „ოქრომრავალი კოლხეთის“ შესახებ.

შუა საუკუნეების პერიოდი, ძირითადად, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ხელოვნების ნიმუშებითა და ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ძეგლებით არის წარმოდგენილი. ვერნების, ხინოს, სხალთის და სხვა მონაპოვარი ადასტურებს, რომ თვითმყოფადობით გამორჩეული ქართული კულტურა აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს არეალში ექცევა. შუა საუკუნეების ნიმუშთა ერთგვარი სიმწირე კი რეგიონის მძიმე ისტორიული ხვედრით არის განპირობებული. ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული ხალხური ხელოვნების ნიმუშები ტრადიციული დარგების სიცოცხლისუნარიანობასა და უწყვეტ განვითარებას ადასტურებს.

ნიგნში, ისტორიულთან ერთად, ასახულია საქართველოს ახალი და უახლესი ხელოვნების ისტორიის ამსახველი ნიმუშები, რომლებიც აჭარის ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

tinguished by important innovations. It is universally acknowledged that the Chorokhi Basin in the Near East was one of the oldest centers of mining and metallurgy and the place of origin of the Colchian civilization.

Numerous and diverse archaeological artifacts found in Pichvnari, Gonio, Tsikhisdziri, Makhos and Kapandibi – items of jewelry and toreutics, terracotta figures, polychrome glass ware and adornments, Greek painted and black glaze vessels, glyptic and numismatic artifacts – reflect close and longtime political, trade-economic and cultural relations with the Greek, Persian and Hellenistic worlds and Roman and Byzantine civilizations. Foreign influence was merged with strong local and all-Caucasian cultural traditions, the best examples of which are the samples of Colchian goldsmithery preserved at the Gold Treasury of the Batumi Archaeological Museum. It is a kind of confirmation to the ancient sources from classical authors about the "Gold-abundant Colchis" that is reflected in the most popular myth of Antiquity – the myth of Argonauts' voyage in Colchis for the Golden Fleece.

The Middle Ages is presented mostly with the samples of art and ethnographic and archaeological artifacts discovered during archaeological excavations. The findings in Vernebi, Khino, Skhalta, and other places prove that the unique Georgian culture, distinguished by originality, is within the space of East Christian world. Some scarcity of samples of the Middle Ages is caused by the hard historical fate of the region. The samples of folk art, preserved in the ethnographic life, prove vitality and continuity of the traditional spheres.

Along with the historical artifacts, the book presents the specimens of modern Georgian Fine Arts preserved at the Art Museum of Ajara.





ვერძის ქანდაკება
ბრინჯაო, ჩამოსხმული.
მატყელი გადმოცემულია
წნული რელიეფური დეკორით.
სიმაღლე 5,5 სმ, სიგრძე 7 სმ.
ძვ.წ. XII-XI საუკუნეები
ფიჭვნარი, აჭარის
ხარიტონ ახვლედიანის
სახელობის მუზეუმი

FIGURINE OF A RAM
Bronze, Moulded.
Decorated with
relief braided ornament.
Height 5,5 cm, length 7 cm
12th-11th centuries BC.
Pichvnari, Ajara Khariton
Akhvlediani State Museum

STONE, BRONZE AND IRON AGES

ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანა

კავკასია, კერძოდ, საქართველო, მსოფლიოს იმ რეგიონებს შორისაა, სადაც მიმდინარეობდა ანთროპოგენეზის პროცესი. აჭარაში (რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს) ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მის ზღვისპირა ზოლში დასახლებები ჩანს გვიანმეზოლითური ეპოქიდან, თითქმის უკაცრიელია შუაბრინჯაოს ხანაში, ხოლო კვლავ ათვისებულია გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან. აჭარის მთიანეთში, კერძოდ, კურორტ ბეშუმთან აღმოჩენილი ქვის იარაღები, რომლებიც ძვ. წ. 300-200 ათასი წლით თარიღდება, ადასტურებს, რომ უძველესი ადამიანი აქ უკვე პალეოლითის – აშელის ხანიდან ცხოვრობს. მნიშვნელოვანია, რომ აჭარის ტერიტორია ექცევა იმ არეალში, სადაც დაახლოებით 10 000 წლის წინ დაიწყო მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა.

აჭარის ქვის ხანის სადგომები თუ ნამოსახლარები გვიანმეზოლითურ-ადრენეოლითურ და განვითარებულ ნეოლითურ კულტურებს ქმნის. ისინი ძირითადად ღია ტიპისაა და ტერასებზე ან გორაკ-ბორცვებზეა განლაგებული. ამ პერიოდის ძეგლთაგან უნდა გამოვყოთ სოფ. ქობულეთის ნამოსახლარი, სადაც იარაღის დამამზადებელი „სახელოსნოები“, დახურუ-

Caucasus, namely, Georgia, is among the regions, where the process of anthropogenesis was ongoing. The archaeological studies, conducted in Ajara, which is located in South-West of Georgia, proved that the settlements in its coastline zone are seen from Late Mesolithic Age, are almost abandoned in the Middle Bronze Age, and again resettled from the beginning of the Late Bronze Age. In the Ajara high-

ლი ტიპის უნიკალური ნყალსადენი და ხის საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთებია აღმოჩენილი, რაც ადასტურებს ამ დროისათვის ბინადარი ცხოვრების ნიშნებს. მახვილაურის ნამოსახლარი ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია აჭარაში, რომელიც განვითარებულ ნეოლითს (ძვ. წ. VII ათასწ. დასასრული და VI ათასწ. დასაწყისი) უკავშირდება და იგი გამოირჩევა როგორც ნედლეულთა, ისე იარაღთა მრავალფეროვნებით. პირველად სწორედ აქ ჩნდება გეომეტრიული მიკროლითები, ხელოვნების ნიმუშებად აღიარებული ქვის ცულები და ე. წ. „პიკისებური იარაღები“. მინათმოქმედებისა და მეთევზეობის განვითარებას ადასტურებს მახვილაურის უძრავ კულტურულ ფენებში ნაპოვნი ქვის თოხები, თევზის საჭერი ბადის საძირავი ქვის სანაფები და სხვა არტიფაქტები.

ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა (ძვ. წ. V-III ათასწ.) აჭარის მთაში შემთხვევითი აღმოჩენებითაა წარმოდგენილი. ამ პერიოდს ეკუთვნის ჯანჯღნარისა (ხულო) და კოლოტაურის (ქედა) გაპრიალეზულ ზედაპირიანი თიხის ჭურჭელი, ძვლის სახვრეტები, კაჟის შუბისპირები, ისრისპირები (ტალახნარი, კვირიკე), რომლებიც ხელოსნური წარმოების შემდგომ განვითარებაზე მიუთითებს.

აჭარის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის უკეთ გასაცნობად, განსაკუთრებით ღირებულია ქობულეთთან ახლოს არსებული ისპანის ნამოსახლარი. აქ ნაპოვნი ცულის ყალიბები, საბერველების საქმენი მილები, მინიატურული ტიგელები, ყუადაქანებული ცულის მოდელი და მრავალფეროვანი სამეთუნეო ნაწარმი პირდაპირ მიგვითითებს, რომ საქმე გვაქვს ადგილობრივი ხელოსნური წარმოების მქონე კოლხეთის ერთ-ერთ მსხვილ და უადრეს დასახლებასთან, რომლის მკვიდრთა შეუქმნიათ დასავლეთ საქართველოს ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი თავისებური თვითმყოფადი კულტურის საწყისი საფეხური. ამ პერიოდში დაწინაურდა მინათმოქმედება, მესაქონლეობა, მეტალურგია და ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგი. ძვ. წ. V-III ათასწლეულში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უმნიშვნელოვანესი რგოლია ძველ აღმოსავლურ, ანატოლიურ და კავკასიურ კულტურათა წრეში.

land region, in particular, at the resort Beshumi, the stone tools are discovered, dated by 300-200 thousand years BC. These tools prove that the ancient man lived here already from the Paleolithic-Acheulean Age. It is important that the territory of Ajara is within the area, where about 10 000 years ago the transition from an economy based on hunter-gathering and fishing to a manufacturing economy started.

The dwellings or remains of old settlements of the Stone Age in Ajara form the Late Mesolithic-Early Neolithic and developed Neolithic cultures. They are mostly open air settlements located on terraces, hills and hillocks. Among the sites of that period, the old settlement of the village Kobuleti can be singled out; there the remains of the “workshops” for production of tools, unique water supply system fragments and traces of primitive buildings were found. This witnesses the signs of the permanent settlement life by that time. The old dwelling of Makhvilauri is still the only site in Ajara, which is connected with developed Neolithic (the end of the 7th millennium BC and the beginning of the 6th millennium BC) and is distinguished by the diversity of the tools as well as their production materials. It is just here that geometric microlithic tools, the stone hand axes recognized as the samples of art and the so-called spear like tools appear. Stone mattocks, fishing sinkers, and other artifacts found in the untouched cultural layers of Makhvilauri, witness development of agriculture and fishery.

The Eneolithic-Early Bronze Age (5th-3rd millennium BC) is presented by the occasional discoveries in the Ajara highland region. The pottery with polished surfaces, awls of animal's bone, flint spearheads of Janjghnari (Khulo) and Kolotauri (Keda), arrowheads (Talakhnari, Kvirike), which point to further development of handicraft production, belong to that period.

To better familiarize with the Eneolithic – Early Bronze Age, the old settlement of Ispani near Kobuleti is of great value. Axe molds, blast pipes, miniature crucibles, model of an axe with a sloping butt, and diverse pottery ware, discovered here, directly point that here was one of the largest and earliest settlements of Colchis having the

ნოვაციებით აღინიშნება გვიანბრინჯაოსა და რკინის ადრეული ხანა (ძვ. წ. XV-VII სს.). აჭარის მთასა და მის წინა ზოლში დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ბრინჯაოს სადა და გრავირებული ცულების, თოხების, ნაღების, სეგმენტისებური იარაღების, აბზინებისა და ლითონის ზოდებისაგან შემდგარი განძების, ხის სახნისების, კერამიკისა და სხვა სახის აღმოჩენები ადასტურებს, რომ ამ რეგიონმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოლხური ტომობრივი კულტურის ფორმირებასა და გავრცელებაში. ისტორიოგრაფიაში ეს ხანა ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურის სახელითაა ცნობილი, იგი მაღალგანვითარებული მინათმოქმედი საზოგადოების ნაყოფია, რომელიც გახდა დასაწყისი სახელმწიფოებრიობის ადრეული ეტაპის გენეზისისა. ამ ეპოქის მასალიდან გამოირჩევა კოლხური ცული, რომელიც მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშია. მარადიდის, ხისძირის და ფუშრუკაულის ბრინჯაოს ცულები შემკულია რელიეფური დეკორით, გრავირებული ორნამენტებითა და ცხოველთა სტილიზებული (ძალი, გველი) გამოსახულებებით. ნაკეთობები ხასიათდება ფორმათა არაჩვეულებრივი სინატიფითა და იშვიათი პროპორციებით. დაწინაურებული მინათმოქმედების დადასტურებაა აჭარის ძეგლებზე ნაპოვნი ძვ. წ. II ათასწ. ბოლო მეოთხედით დათარიღებული ხის სახვრელი იარაღები და ბრინჯაოს სამკუთხა მოყვანილობის თოხები. ფიჭვნარის ხის მარტივი სახვრელი კი უკვე მოხვნიითი მინათმოქმედების არსებობაზე მიუთითებს.

აჭარა, კერძოდ, ჭოროხის აუზი, მახლობელ აღმოსავლეთში წარმოადგენდა სამთო მეტალურგიის ერთ-ერთ უძველეს ცენტრს. ჭარნალში, გონიოში, ახალსოფელსა და მიმდებარე ტერიტორიებზე გამოვლენილი სახელოსნო კერების მიხედვით ჩანს, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან ჭოროხის მოსახლეობა უკვე ფლობდა რკინის წარმოების ტექნოლოგიას. განსაკუთრებით საყურადღებოა ქობულეთ-ფიჭვნარის ნამოსახლარებზე აღმოჩენილი ლითონ-ჩამოსასხმელი სახელოსნოები, სადაც ნაპოვნია ამ პერიოდში გავრცელებული სამეთუნეო და საბრძოლო იარაღებისა თუ სამკაულების ჩამოსასხმელი ყალიბები.

local handicraft production and the local population of which formed the initial step of original peculiar culture characteristic to West Georgia of the Eneolithic – Early Bronze Age. Agriculture, cattle breeding, metallurgy, and different branches of handicraft production advanced in that period. In the 5th-3rd millennium BC South-West Georgia is the most important link in the circle of Ancient East, Anatolian and Caucasian civilizations.

The Late Bronze and Early Iron Ages (15th-7th centuries BC) are marked by the innovations. Numerous sites are discovered in Ajara mountains and mountain foots – bronze plain and decorated axes, mattocks, tsaldi-axes, segments, the treasures consisting of ingots, wooden ploughshares, pottery ware and other discoveries, which witness large contribution of this region into the formation and spread of Colchian culture. In the historiography this age is known as the brilliant Colchian Bronze Culture. It is the product of highly-developed agricultural community, which became the starting point of the early stage in the genesis of the statehood. From the material of this epoch the Colchian axe is distinguished, which is a remarkable sample of artistic handicraft. The bronze axes of Maradidi, Khikhadziri and Pushrukauli are decorated with the reliefs, engraved stylized animal (a dog and a snake) images and geometric ornaments, are characterized by unusual elegance of forms and rare proportions. Advanced agriculture is witnessed by the wooden plowing instruments and bronze segment tools dated by the last quarter of 2nd millennium BC and found at the Ajara archaeological sites. A simple wooden ploughshare instrument of Pichvnari points to existence of plowing agriculture.

Ajara, namely, the Chorokhi basin, was one of the oldest centers of mining and metallurgy in the Near East. The workshop centers, found in Charnali, Gonio, Akhalsopeli and adjacent territories show that from the mid-third millennium BC population of the Chorokhi basin already possessed the iron production technologies. Of special mention is metal casting workshops discovered in Kobuleti-Pichvnari ancient settlement. The molds for casting the agricultural tools and weapons used in that period are found there.



ქვის საჩხეხი იარაღი
 სიგრძე 10,5 სმ, სისქე 3,5 სმ.
 ძვ.წ. 300-200 ათასწლ.
 ბეშუმში, ადგილი ბულულა (ხულო),
 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

STONE CHOPPING-TOOL
 Length 10,5 cm, thickness 3,5 cm.
 300-200 millennium BC.
 Beshumi, Bulula (Khulo).
 Batumi Archaeological Museum

საღმისეპი (სასპრატეპი)
 დამზადებულია წვრილფეხა ცხოველის ძვლისაგან.
 მახვილი წვერი მიღებულია გახეხვით. ზედაპირი გაპრიალებულია.
 სიგრძე 15,7 სმ; 15,4 სმ; 12,5 სმ. ძვ.წ. V-IV ათასწლ.
 ჯანჯღნარი (ხულო) ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

AWLS (DRILLS)
 Animal's bone. Its sharpened
 head is made by grinding. Polished surface.
 Length 15,7 cm; 15,4 cm; 12,5 cm; 5th-4th millennium.
 Janjghnari (Khulo). Batumi Archaeological Museum



იარაღ-ანატკეცი
 ობსიდიანი, სიგრძე 12 სმ.
 ძვ.წ. VIII-VI ათასწლ.
 წაბლანა-ყიშლა (ხულო).
 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

FLAKE-TOOL
 Obsidian. Length 12 cm.
 8th-6th millennium BC.
 Tsablana-Qishla (Khulo).
 Batumi Archaeological Museum



ცული
 ბაზალტის ქვა. გაპრიალებული.
 სიგრძე 17 სმ. ძვ.წ. VII-VI ათასწლ.
 მახვილაური (ხელვაჩაური).
 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

HAND AXE
 Bazalt. Polished.
 Length 17 cm. 7th-6th millennium BC.
 Makhvilauri (Khelvachauri).
 Batumi Archaeological Museum




„აიკისეპური იარაღი“
 ქვა. სიმაღლე 17,5 სმ.
 ძვ.წ. VII-VI ათასწლ.
 მახვილაური (ხელვაჩაური).
 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

SPEAR LIKE TOOL
 Stone. Height 17,5 cm.
 7th-6th millennium BC.
 Makhvilauri (Khelvachauri).
 Batumi Archaeological Museum

შუპისპირი
 კაჟი. სიგრძე 14 სმ. ძვ.წ. V ათასწლ.
 სოფ. ზედა კვირიკე (ქობულეთი)
 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

SPEARHEAD
 Flint. Length 14 cm. 5th millennium BC.
 Zeda Kvirike village (Kobuleti).
 Batumi Archaeological Museum





ღოძი
 თიხა. ყავისფერკეციანი.
 მორგვზე დამზადებული. ტანის ზედა
 კალთაზე გამოსახულია ოთხი ცხოველის
 (სამი ცხენი და ერთი ირემი) გამოსახულება.
 სიმაღლე 19 სმ.
 ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები.
 ციხისძირი. ბათუმის
 არქეოლოგიური მუზეუმი

POTTERY JUG
 Brown clay, wheel-made. Four engraved figures
 of animals (three horses and one deer) are
 represented on the upper part of the body
 Height 19 cm.
 8th-7th century BC.
 Tsikhisdziri. Batumi
 Archaeological Museum

დერგისაგური ჟურჯალი
 თიხა. სქელკედლიანი. ბიკონუსური.
 ხელით ნაძერნი. ზედაპირი გაპრიალებული.
 სიმაღლე 40,5 სმ,
 ძირის დიამ. 11 სმ, პირის 19 სმ.
 ძვ.წ. V ათასწლ. ბოლო –
 IV ათასწლ. პირველი ნახევარი.
 ჯანჯღნარი (ხულოს მუნიციპალიტეტი)
 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

DERGI (PITHOS-LIKE VESSEL)
 Clay. Thick-walled. Biconical.
 Handmade. Polished surface.
 Height 40,5 cm, diameter of bottom 11 cm,
 at rim 19 cm.
 End of 5th – the first half of 4th millennium BC.
 Janjghnari (Khulo Municipality).
 Batumi Archaeological Museum



ქილა
 თიხა. ტანი კოპებითაა შემკული. ხელით ნაძერნი.
 ზედაპირი გაპრიალებული. სიმაღლე 25 სმ, ძირის დიამ.
 6 სმ, პირის 10 სმ. ძვ.წ. IV ათასწლ. მეორე ნახევარი.
 კოლოტაური (ქედა)
 აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

POTTERY JAR
 Body decorated with knobs. Handmade.
 Polished surface. Height 25 cm, diameter of bottom 6 cm,
 and at rim 10 cm. Second half of the 4th millennium.
 Kolotauri (Keda).
 Ajara Khariton Akhvlediani State Museum



ცული

ბრინჯაო. ცენტრალურ-ამიერკავკასიური ტიპის. ყუა მასიური. პირი სეგმენტისებური. სიმაღლე 17 სმ, პირის სიფართოე 11 სმ, ძვ.წ. XI-IX საუკუნეები
სოფ. ზუნდაგა (ქედა)
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

AXE

Bronze. Central Transcaucasian type. Massive butt. Segment-like blade. Height 17 cm, blade width 11 cm. Zundaga village (Keda). Batumi Archaeological Museum



სახვწელი იარაღი

ხე. სიმაღლე 57 სმ, დიამ. 6,5 სმ. ძვ.წ. II ათასწლ. ბოლო მეოთხედი ფიჭვნარი. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

PLOUGHSHARE

Wood. Height 57cm, diameter 6,5cm. Last quarter of the 2nd Millennium. Pichvnari. Batumi Archaeological Museum



ცული

ბრინჯაო. ყუადაქანებული. სატარე ხვრელი მრგვალი. ტანი ორნახნაგა. სოლისებური. სიმაღლე 11,5 სმ, ტანის სიფართოე 4,5 სმ. ძვ.წ. III ათასწლ. მეორე ნახევარი, ლორჯომი, ადგილი ნაომარი (ხულო). ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

AXE

Bronze. Slope butt, round axe eye, double-faceted head. Height 11,5 cm, body width 4,5 cm. Second half of the 3rd millennium BC. Ghorjomi place Naomari (Khulo). Batumi Archaeological Museum



აზინდა

ბრინჯაო. შემკულია მუდმივი მოძრაობის გამომხატველი სვასტიკითა და გადაბმული სპირალებით. ძვ.წ. XI-IX საუკუნეები
15X4 სმ. სოფ. ზუნდაგა (ქედა). ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

BUCKLE

Bronze. Decorated with engraved swastika and current scroll ornament. 11th-9th century BC. 15X4 cm. Zundaga village (Keda). Batumi Archaeological Museum





კოჭობი
 თიხა. ბიკონუსურ ტანზე პატარა ყურია გაკეთებული.
 ხელით ნაძერწი. ზედაპირი გაპრიალებული.
 სიმაღლე 15 სმ, ძირის დიამ. 5 სმ, პირის – 8,2 სმ.
 ძვ.წ. IV ათასწლ. მეორე ნახევარი.
 კოლოტაური (ქედა).
 აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

POT
 Clay. Biconical body with small handle.
 Handmade. Polished surface.
 Height 15 cm, diameter of bottom 5 cm,
 and at rim 8,2cm.
 Second half of the 4th millennium BC.
 Kolotauri (Keda).
 Ajara Khartoni Khvlediani State Museum

ღერბი
 თიხა. ზომორფული ყურებით,
 კანელურებით და გრავირებული
 დეკორით შემკული. სიმაღლე 33 სმ
 ძვ.წ. XII-XI საუკუნეები. ფიჭვნარი,
 ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

POT
 Clay. Decorated with zoomorphic handles,
 radial flutes and engraved patterns.
 Height 33 cm. 12th-11th century BC.
 Pichvnari. Batumi Archaeological Museum



კოლხური ცული

ბრინჯაო. ყუა, სატარე ხერელი და ტანის მცირე მონაკვეთი დაფარულია რელიეფური ორნამენტით. სიმაღლე 15 სმ. ძვ.წ. XI-X საუკუნეები მარადიდი, ადგილი დაბლავეთი (ხელვაჩაური) ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

COLCHIAN AXE

Bronze. Head is decorated with relief ornament. Height 15 cm. 9th-10th century BC. Discovered at Maradidi. Place Dzablaveti (Khelvachauri). Batumi Archaeological Museum



კოლხური ცული

ბრინჯაო. ორნამენტირებული. შემკულია ძალის გრავირებული სტილიზებული გამოსახულებით და გეომეტრიული ორნამენტით. ზომა: 17x5,8 სმ. ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები ხიხაძირი (ხულო). აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

COLCHIAN AXE

Bronze. Decorated with engraved images of stylized dog and geometrical ornament. Size: 17x5,8 cm. 8th-7th century BC. Khikhadziri (Khulo). Ajara Khariton Akhvlediani State Museum

ყალიბები

ქვა. კოლხური ცულის ჩამოსასხმელი. გვიანბრინჯაოს ხანა, ფიჭვნარი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

COLCHIAN AXE MOULDS

Stone. Late Bronze Age. Pichvnari. Batumi Archaeological Museum



კოლხური ცული

ბრინჯაო. შემკულია გრავირებული სტილიზებული ძალის გამოსახულებითა და გადაბმული სპირალებით. სიმაღლე 17 სმ. ძვ.წ. VIII-VI საუკუნეები. ხიხაძირი (ხულო). ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

COLCHIAN AXE

Bronze. Decorated with engraved images of stylized dog and current scroll ornament. Height 17 cm. 8th-6th century BC. Khikhadziri (Khulo). Batumi Archaeological Museum



კოლხური ცული

ბრინჯაო. შემკულია გრავირებული სტილიზებული ძალის გამოსახულებითა და გეომეტრიული ორნამენტით. სიმაღლე 17 სმ, პირის სიფართოე 11 სმ. ძვ.წ. VIII-VI საუკუნეები, ფუშრუკაული (ხულო). აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

COLCHIAN AXE

Bronze. Decorated with engraved images of stylized dog and geometrical ornament. Height 17 cm, width of the blade 11 cm. 8th-6th century BC. Pushrukauli (Khulo). Ajara Khariton Akhvlediani State Museum



კოლხური ცული

ბრინჯაო. შემკულია გრაფირებული სტილიზებული ძაღლის და გველის გამოსახულებებით და გეომეტრიული ორნამენტით.
ზომა: 17X6 სმ.
ძვ.წ. VIII-VII საუკუნეები
ხიხადირი (ხულო).
აქარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

COLCHIAN AXE

Bronze. Decorated with engraved images of stylized dog, snake and geometrical ornament.
Size: 17x6 cm.
8th-7th century BC.
Khikhadziri (Khulo).
Ajara Khariton Akhvlediani State Museum



მძივები

სარდიონი. ზედაპირი კარგად გაპოლირებული
ძვ.წ. VII-VI საუკუნეები.
ცეცხლაური (ქობულეთი).
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

BEADS

Carnelian. Well-polished surface.
7th-6th century BC.
Tsetskhlauri (Kobuleti).
Batumi Archaeological Museum



წითელფიგურული
ზარისებრი კრატერი
ზეუსი და ფრთოსანი ირისი.
ძვ.წ. 460-430.
32X27 სმ. ფიჭვნარი. ბათუმის
არქეოლოგიური მუზეუმი

**RED-FIGURE
BELL CRATER**
Zeus and winged Iris.
460-430 BC.
32X27 cm. Pichvnari, Batumi
Archaeological Museum

EARLY ANTIQUE AND HELLENISTIC AGES

ადრეანტიკური და ელისტიკური ხანა

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულია ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ოქროს ნივთების შესანიშნავი კოლექცია. ისინი ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული. უმრავლესობა აღმოჩენილია ფიჭვნარის სამაროვანზე, მცირე ნაწილი კი – ციხისძირის სამაროვანზე.

The Gold Treasury of the Batumi Archaeological Museum preserves a fine collection of the gold articles of the Early Antique and Hellenistic Ages. They are mostly obtained during the archaeological excavations. Majority of them is discovered in Pichvnari necropolis, and smaller amount is found in Tsikhisdziri cemetery. The gold articles of the Early Antique and

ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ოქროს ნივთები ძირითადად სამკაულების სახითაა წარმოდგენილი. ესენია სასაფეთქლები, სხვადასხვა ფორმის საყურეები (სხივანა, ნახევარმთვარისებური, დაღარულბურთულიანი, ბიკონუსურსაკიდიანი, ტვირულბურთულიანი, ლომის თავის გამოსახულებიანი), სადა საყურე რგოლები და ცხოველის თავის სტილიზებულ გამოსახულებიანი ფიგურული რგოლსაკიდები, ყელსაბამები, შედგენილი სადა და დაღარული მძივების, ფიგურული მძივსაკიდების (გარეული თხა, ფრინველი), შეწყვილებული ორმაგი ვოლუტებისა და ნახევარმთვარისებური საკიდებისაგან. ხელის სამკაული წარმოდგენილია ოქროს სადა და ტრილაფარაკიანი ბეჭდების სახით.

ძვ.წ. V-IV საუკუნეებში კოლხურმა ოქრომჭედლობამ, რომელიც ძლიერ ადგილობრივ ტრადიციებს ეყრდნობოდა, გან-

Hellenistic Ages are jewelry. They are temple ornaments, earrings of different forms (radial, crescent-shaped, with grooved globes and biconical pendants, openwork and lion's head earrings, etc.), plain hoops and pendant hoops of stylized animal's head finials, different kind of necklaces including plain and grooved beads, hemispherical and double volutes pendants, figured bead-pendants in the form of ibex, birds and crescents etc. Jewelry for hand is presented by gold plain and engraved finger rings. In the 5th-4th centuries BC the Colchian goldsmithery based on strong local traditions reached the high level of development. The Colchian goldsmith's works experienced certain influence of Achaemenid and Greek Schools, but still maintained its own originality. Originality of the goldsmith art was reflected in unique forms characteristic only for Colchis as well as in application of granulation as a general technical means. The jewelry items are abundantly decorated with granules, which make the jewelry particularly attractive and beautiful. Local production is proved with mass distribution of the replicas of silver, bronze and golden items available for the broad population. We come across the samples, made of silver and bronze, resembling gold articles. This fact is well expressed in the items discovered in the burial complexes.

Along with the gold jewelry, silver and bronze bracelets placed into the graves are also presented in the Pichvnari and Tsikhisdziri burials. Their penannular ring finials are decorated with stylized representations of animals' heads (mostly a ram, a calve, a snake). They are solid cast. The finials around the relief heads are adorned with engraved crisscross lines, circles, lines of triangles, dots. The bracelets, decorated with the stylized animals' heads are widely spread in the Achaemenid and Greek world. The rhyton-shaped earrings and torques should be mentioned among the silver and bronze jewelry.

Both plain and decorated metal (electrum, silver, bronze) signet rings found in the burial grounds of the Early Antique and Hellenistic periods form

ვითარების მალალ მწვერვალს მიაღწია. აქემენიდური და ბერძნული სკოლების გარკვეული ზეგავლენის მიუხედავად, კოლხურმა ოქრომჭედლობამ შეინარჩუნა თვითმყოფადობა, რაც აისახა სამკაულის ორიგინალურ ფორმებსა და საერთო ტექნიკური ხერხის – გავარსის ფართოდ გამოყენებაში. კოლხური საიუველირო ნიმუშები უხვადაა შემკული გავარსით შესრულებული გეომეტრიული სახეებით, რომელიც სამკაულს განსაკუთრებულ მიმზიდველობასა და სილამაზეს ანიჭებს. ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან დამზადებული ოქროს ნივთების მინაბადების მასობრივი გავრცელება, რაც კარგადაა ილუსტრირებული სამარხულ კომპლექსებში აღმოჩენილი ნივთების სახით.

ფიჭვნარსა და ციხისძირში აღმოჩენილ სამარხებში ოქროს სამკაულებთან ერთად მიცვალებულებისათვის გაუყობლებიათ ვერცხლისა და ბრინჯაოს სამაჯურები, რომელთა გახსნილი ბოლოები ცხოველის (ძირითადად ვერძის, ხბოს, გველის) თავის სტილიზებული სკულპტურული გამოსახულებებითაა შემკული. ისინი ჩამოსხმითაა დამზადებული. რელიეფური თავების ირგვლივ რკალი შემკულია გრავირებული გეომეტრიული სახეებით (სამკუთხედები, წრეები, ჯვარედინი და პარალელური ხაზები, ნერტილები). ცხოველის სტილიზებული თავებით შემკული სამაჯურები ფართოდაა გავრცელებული აქემენიდურ და ბერძნულ სამყაროში. ვერცხლის სამკაულებს შორის აღსანიშნავია ასევე რიტონისმაგვარი საყურეები და გრეხილი რკალისაგან დამზადებული საკისრე რგოლი – კირკალი.

საინტერესო კოლექციას ქმნის ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამარხებში აღმოჩენილი ელექტრუმის, ვერცხლისა და ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭდები. სამკაულთან ერთად ისინი საბეჭდავის ფუნქციას ასრულებდნენ. მათზე მოცემულია სხვადასხვა

an interesting collection. These objects were both jewelry and an insignia of authority. There is a significant subject diversity of the images on the bezels: Aphrodite and Eros, Hermes, goddesses or female figures, representations of animals (a lion, a dog, a bird, a dolphin, a deer), and objects (tall-stemmed kantharos, a shell, a pair of rhyta with animal protomai, astral signs – rosette, crescent, star). A bronze signet ring bearing a portrait image of Ptolemaic queen Berenice I (died in 279 BC) should be highlighted. She was worshipped as a divine. The bronze engraved-bezelled bracelets with astral signs and birds representations, is unique. On one of the ring bezels along with the image of a lion, Greek inscription are engraved – XAIPE, which means "rejoice". The iconography of the images on the bezels is particularly important to understand local beliefs. A part of the engraved rings is the production of Greek workshops.

According to the archaeological materials of Pichvnari and Tsikhisdziri cemeteries it is obvious that the necklaces of glass beads and bead pendants are the most popular in the Early Antique



შავლაკიანი ტოლვა
ძვ.წ. V საუკუნე. 6,5X7 სმ. ფიჭვნარი. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

BLACK-GLOSS MUG
5th century BC. 6,5X7 cm. Pichvnari. Batumi Archaeological Museum



ბეჭელი

ჭრილაფარაკიანი. ფრინველი, ვარდული და ნახევარმთვარე. ვერცხლი. ძვ.წ. III საუკუნე. რკალის დიამ. 2 სმ, ფარაკი 1,8X1,6 სმ. ფიჭვნარი. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

FINGER RING

Engraved bezel. Bird, rosette and crescent. Silver. 3rd century BC. 2,2 cm, bezel 1,8x1,6 cm. Pichvnari. Batumi Archaeological Museum

გამოსახულება: აფროდიტე და ეროსი, ჰერმესი, ქალთა ან ქალღვთაებათა ფიგურები, ცხოველთა (ლომი, ძაღლი, ფრინველი, დელფინი, ირემი), საგანთა (მაღალძირიანი კანთაროსი, ნიჟარა, ცხოველთა პროტომებით დაბოლოებული წყილი რიტონები), მნათობების (ვარდული, ნახევარმთვარე, ვარსკვლავი) გამოსახულებები და პტოლემიოსელი გალმერთებული დედოფლის ბერენიკე I (გარდაიცვალა ძვ.წ. 279 წელს) პორტრეტული გამოსახულება. უნიკალურია, ასევე, ბრინჯაოს ფარაკიანი სამაჯური, რომელზედაც მოცემულია ფრინველისა და მნათობების – ვარდულისა და ნახევარმთვარის გამოსახულებები. ერთ-ერთ ფარაკზე ლომის გამოსახულებასთან ერთად ამოკვეთილია ბერძნული წარწერა – XAIPE, რაც ნიშნავს „გაიხარე“. ფარაკებზე მოცემული გამოსახულებები მათ მფლობელთა რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. ბეჭდების ნაწილი ბერძნული სახელოსნოების ნაწარმია.

ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნების არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ ადრეანტიკურ და, განსაკუთრებით, ელინისტურ ხანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს მინის მძივებისა და მძივსაკიდებისაგან შედგენილი ყელსაბამები. მძივსაკიდები ზოგჯერ საყურის საკიდს წარმოადგენს. გვხვდება როგორც ერთფერი, ისე პოლიქრომული, ე.წ. თვალადი და მოზაიკური მძივები. შედარებით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან (ქარვა, გიშერი, სარდიონი, აქატი) დამზადებული ცალები. მინის მძივებისა და მძივსაკიდების ფორმა განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება. გვხვდება მრგვალი, რომბისებური, ბიკონუსური, მოგრძო მილისებური, პირამიდისებური, ცილინდრული მძივები. განსაკუთრებით საინტერესოა ფიგურული მძივსაკიდები დელფინის, ამფორისკის, გულის, დოქისა და ფრინველის, ასევე, ადამიანის სახის ან ნიღბის გამოსახულებებით. გვიანელინისტურ ხანაში ვრცელდება მინის მოოქროვილი მძივები. მინის მძივებისა და

and, especially, the Hellenistic Ages. Glass beads are also used as a pendant for earrings. Both monochrome and polychrome, multi-coloured or so-called eye-beads and mosaic beads are also observed. The beads, made of semi-precious stones (amber, jet, agate, carnelian) are less frequently found. The shape of glass beads and bead pendants is especially diverse. Beads in shape of ring, sphere, rhombus, conical, bi-conical, pyramide, cylinder and tube are also brought to light. The glass bead pendants with the images of dolphin, amphoriskos, heart, jug, bird, as well as human's face and a mask attract particular interest. In the Late Hellenistic Age the gilt beads of glass are common. The East Mediterranean area is considered to be the place of manufacture of glass beads and bead pendants.

The Pichvnari comparatively rich burial complexes of the middle and second half of the fifth century BC reveal the following Toreutic items: silver bowls, bronze jugs, ladles, filters, skyphos, kantharos, strigils and situlae. Three bowls with omphalos (hollow boss in the centre) are discovered. All of them are ornamented: one of them is decorated with vertical flutes, another – with relief concentric circles, stylized palmettes and almond-shaped projections. A sample of high artistry is the third bowl, the body of which is decorated with relief (almond-like projections) and engraved stylized images of lotus-flower, palmette, ovolos. Similar bowls are widely spread in the Iranian-Greek world in the 6th-5th centuries BC. Silver phialai appear to be of Greek manufacture, under some Achaemenid influence. Some bronze vessels mainly associated with wine drinking - oinochoe-like jug, ladle (kyathos) and filter, skyphos are often discovered together. The bronze jug is decorated with engraved palmette and lotus flower at the end of a handle. The handles of the ladles (kyathos) and filters have swan's head finials. Beak of the swan with nostrils, eyes, feathers is represented vividly. The bronze filters were used for wine filtering. A hanger is soldered to the opposite part of a handle. Bronze and iron strigils discovered in Pi-

მძივსაკიდების დამზადების ცენტრად მიჩნეულია აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთი.

ფიჭვნარის მდიდრულ სამარხულ კომპლექსებში წარმოდგენილია ტორეუტიკის ნიმუშები: ვერცხლის ფიალები, ბრინჯაოს დოქები, ჩამჩები, საწურები, სტრიგილები, სიტულები, სკიფოსი და კანთაროსი. აღმოჩენილია ვერცხლის სამი ცალი ომფალოსიანი (ფსკერზე სფერული ბურცობი) ფიალა. სამივე ორნამენტირებულია, ერთი მათგანი ვერტიკალური კანელურებით, მეორე – რელიეფური კონცენტრული წრეებით, სტილიზებული პალმეტებითა და ნუშისებრი ბურცობებით. მაღალმხატვრულ ნიმუშს წარმოადგენს მესამე ფიალა, რომლის ტანი შემკულია ნუშისებრი ბურცობების სამი რიგით. ბურცობების ბოლოებს შორის მოცემულია ლოტოსის ყვავილის სტილიზებული გამოსახულებანი, ხოლო ფსკერზე, ომფალოსის ირგვლივ, ამოკვეთილია ოვებისა და პალმეტების ზოლი. მსგავსი ფიალები ირანულ-ბერძნულ სამყაროში ფართოდაა გავრცელებული ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. ისინი აქემენიდური გავლენით შესრულებულ ბერძნულ ნახელავს უნდა წარმოადგენდეს.

ღვინის სმასთან დაკავშირებული ბრინჯაოს ჭურჭლები – ოინოხოია, ჩამჩა (კიათოსი) და საწური, სკიფოსი ხშირად ერთადაა აღმოჩენილი. ბრინჯაოს დოქის მორთულობას წარმოადგენს სახელურის ბოლოზე გამოსახული პალმეტი და ლოტოსის ყვავილი. ჩამჩებისა (კიათოსი) და საწურების სახელურები კი დაბოლოებულია გედის თავის სკულპტურული გამოსახულებებით. რეალისტურადაა გადმოცემული გედის ნისკარტი ნესტოებით, თვალები, ბუმბული. ბრინჯაოს საწურებს ღვინის გასაფილტრად იყენებდნენ. სახელურის მოპირდაპირე მხარეს მიჩილულია საკიდი.

chvnari burial were associated with palaestra. Plain disk-shaped mirrors, most of which once had wooden handles, constitute another group of ancient toreutics.



ალექსანდრე მაკედონელი. ტეტრადრახმა
ჰერაკლე/ზეუსი. ძვ.წ. 336-323
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

ALEXANDER THE GREAT. TETRADRACHM
Heracles/Zeus. 336-323 BC.
Batumi Archaeological Museum

გავფიგურული ალაბასტრონი
ძვ.წ. V საუკუნე. სიმაღლე 11,5 სმ.
ფიჭვნარი. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი

BLACK-FIGURE ALABASTRON
5th century BC. Height 11,5 cm. Pichvnari.
Batumi Archaeological Museum



ფიჭვნარის სამაროვანზე აღმოჩენილია, ასევე, პალესტრასთან დაკავშირებული ბრინჯაოსა და რკინის სტრიგილები და ტუალეტისთვის განკუთვნილი ბრინჯაოს სარკეები, რომელთაც ხის სახელურები უნდა ჰქონოდათ.

ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმსა და აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ბერძნული მოხატული კერამიკა ათენის სახელოსნოების პროდუქციას წარმოადგენს. ქრონოლოგიურად ისინი თავსდება ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედსა და IV საუკუნის შუა ხანებში. კოლექციაში გამოიყოფა შავფიგურული, გვიანარქაული, ადრეკლასიკური, კლასიკური და გვიანკლასიკური ნითელფიგურული სტილის ვაზები. სპეციალური კვლევის შედეგად ცალკეული ნიმუშები და ჯგუფები მიეკუთვნა სახელოსნოებს და ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდუალურ ოსტატებს (ბელდამის მხატვრის სახელოსნო, St.Valentine-ის კლასი, ათენა-ბოუდონის მხატვრის სახელოსნო, ნიობიდების მხატვრის წრე, პოლიგნოტოსის ჯგუფი).

კოლექციის გამორჩეული ნიმუშია ადრეკლასიკური თავისუფალი სტილის ოსტატის, მონუმენტური მხატვრობის მიმდევარი და მიმბაძველი სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ნიობიდების მხატვრის წრის კრატერი.

ნატიფი ვაზების ცალკე კატეგორიას განეკუთვნება მუზეუმების კოლექციებში შემავალი შავლაკიანი სადა და ნატიფი ორნამენტით შემკული კერამიკა. ამგვარი კერამიკის განსაკუთრებით მდიდარ და მრავალფეროვან მასალას იძლევა ფიჭვნარის სამაროვანი, სადაც აღმოჩენილია ამ ტიპის სამეთუნეო ნაწარმის თითქმის ყველა ფორმა: ოინოხოია, ტოლჩა, სკიფოსი, კილიკი, ბოლსალი, ცალყურა თასი, უყურო ჯამი, მალაქიანი ლანგარი, ლეკითოსი, ამფორისკოსი, გუტუსი. ისინი შემკულია ნაკვეთი და შტამპიანი ორნამენტით. შემკობის მოტივებს შორისაა: ოვები, პალმეტები, რომლებიც ზოგჯერ რკალებითაა ერთ-

